ბათუმი-ხულო-გოდერძის მაგისტრალის (აჭარის ა/რ) გეოეკოლოგიური შეფასება

ანა ჯინჭარაძე

ელ-ფოსტა: ana.jincharadze908@sps.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,

კვლევა მოიცავს ბათუმი-ხულო-გოდერძის მაგისტრალის (აჭარის ა/რ), როგორც აჭარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიის გეოეკოლოგიურ შეფასებას. საკვლევი არეალი საინტერესოა თავისი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატური პირობებით, აგრეთვე გამოირჩევა გეოდინამიკური პროცესების საკმაოდ აქტიური გამოვლინებით. აღნიშნულ მაგისტრალს აქვს სტრატეგიული დანიშნულება, დიდ როლს თამაშობს აჭარის მთიანი და ზღვისპირა მუნიციპალიტეტების დასაკავშირებლად, გავლენა აქვს რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებაზე. კვლევის მიზანია ბათუმი-ხულო-გოდერძის მაგისტრალის გეოეკოლოგიური შეფასება, შემდგომ არსებული საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება და საბოლოოდ, ღონისძიებების შემუშავება არსებული პრობლემების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბათუმი-ხულო-გოდერძის მაგისტრალი, რომელიც ადმინისტრაციულად გაივლის ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. დამოუკიდებელი კვლევის ამოცანებია მაგისტრალის გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მახასიათებლების შესწავლა, საფრთხის შემცველი უბნების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება მაგისტრალის უსაფრთხოდ ფუნქციონირებისთვის. კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ არსებულ მაგისტრალზე მსგავსი ტიპის დაკვირვება ჯერ არ განხორციელებულა, ნაშრომი ფოკუსირებულია მხოლოდ და მხოლოდ ბათუმი-ხულო-გოდერძის მაგისტრალზე მიმდინარე გეოდინამიკურ პროცესებისა და ეკოლოგიურად სენსიტიური ზონების შესწავლაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა ზონები, რომლებიც განსაკუთრებული გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, მდინარის ნაპირის გარეცხვა, ქვათაცვენა და სხვა) ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. შეიქმნა მაგისტრალის გეოდინამიკური საფრთხეების მონაცემთა ბაზა, ზონირების რუკა, განხორციელდა საავტომობილო გზის დარაიონება საფრთხის კატეგორიების მიხედვით. შემუშავდა რეკომენდაციები გზის მონიტორინგისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.